№ 159 ივლისი 29, ოთხშაბათი

# ივერია

ივლისი 29, ოთხშაბათი № 159

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთის ფასი

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—2)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით უცხადებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთ, რომ, რადგან 26 ივლისისათვის დანიშნული კრება არ შესდგა კანონიერ წევრთა შეუკრებლობის გამო, მეორე საგანგებო საზოგადო კრება დანიშნულია 11 აგვისტოსათვის, დილის 10 საათზედ, ქ. ტფილისში, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ.

განსახილველი საგანი:

ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის მმართველობის საერთო მოხსენება იმის შესახებ, რომ 12,000 მანეთი გადაიდოს ხოლერასთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის სოფლის მკვიდრთა უზრუნველ-საყოფელად.

(3—1)

ტფილისი, 28 ივლისი

ოფიციალურ ცნობებიდგან, რომელიც იბეჭდება ჩვენს გაზეთში, მკითხველი გაიგებს, რომ ხოლერა ტფილისში, თუ სულ არ მოისპო, ძალიან მაინც შესუსტდა. ტფილისში ითვლება თითქმის 120,000 მცხოვრები, აქვე აქვს ბინა რამდენსამე ათასს ჯარს და აბა ამოდენა ქალაქისთვის რას შეადგენს შვიდი ხოლერით ავადმყოფი, რომელნიც ყოფილან მიხეილის სამკურნალოში 27 ივლისს, დილით. ამ რიცხვზედ მომეტებული ავადმყოფნი არც სხვა სამკურნალოებში იმყოფებიან. სპარსელებისათვის აგებულს დროებით საავადმყოფოში ხომ დღეს არც ერთი ადამიანი არ არის ხოლერით ავად. ერთის სიტყვით, თუ ხოლერამ ასეთის ნელის ნაბიჯით იარა და ამაზედ მეტი ნავნევი არა ჰქმნა შემდეგშიაც, ტფილისში ხოლერა განელებულ სენად უნდა ჩაითვალოს.

დიაღ, თუ საქმე ასე კარგად წავიდა ტფილისში, როგორც დაიწყო, ხოლერა მალე გამოგვეთხოვება, მაგრამ შეიძლება ხოლერა ისევ ესტუმროს გადარჩენილს ქალაქს, თუ სოფლად დიდხანს იმძვინვარა ისე საშინლად, როგორც დღესა მძვინვარებს. იმისთანა მცირე სოფლებში, როგორიცაა, მაგალითად, ხცისი, დღეში თორმეტი სული იხოცება და ქალაქში-კი არც ერთი დღე არა ყოფილა, რომ სამს-ოთხზედ მეტი გარდაცვლილიყოს. ამისთვის სოფლად დაფანტული მეაგარაკენი საშინელის სისწრაფით ბრუნდებიან ქალაქში, რომელსაც ამ ერთის თთვის წინად სისწრაფითვე დაანებეს თავი, დაიმედებულნი, რომ ხოლერა სოფელში ფეხს ვერ მოიკიდებს და შეიძლება ქალაქსკი მუსრი გაავლოსო.

ადვილად შესაძლებელია, რომ მეაგარაკეებს ხოლერა ისევ ჩამოჰყვეს ქალაქში და დიდად საჭიროა, რკინის გზის რომელსამე სადგურზედ გულ-დადებით სინჯავდნენ ტფილისში მომავალ მგზავრთა და არა ისე, როგორც ეხლაა. რკინის გზის ექიმი ჩაივლის ვაგონებში, გადაავლებს მომავალთ თვალს და ჩაივლის ქვემოდ. ასეთის გასინჯვით არაფერი გამოვა და ხოლერიან ავადმყოფს თავისუფლად შეუძლიან ქალაქში ამოჰყოს თავი.

ქალაქის გადასარჩენად ურიგო არ არის ეს ღონისძიება. მეორე ღონისძიება-კი, რომელზედაც ეხლა ჩამოვაგდებთ საუბარს, დიდად საყურადღებო და სასარგებლოა მარტო ქალაქისთვის-კი არა, არამედ მთელის გუბერნიისათვისაც. ჩვენ ბევრჯელ გვქონია ლაპარაკი და დღესაც ვიტყვით, რომ ხოლერასთან საბრძოლველად სოფელი მომზადებული არ არის. ხოლერა ქალაქში ნელდება და სოფელს-კი მუსრს ავლებს. ამ გვარად, გამოდის, რომ ქალაქს სრულიად აღარ ეჭირვება ამოდენა წამლები, რომელიც ადრიანად დამზადებული ჰქონდა და აღარ ეჭირვება დაქირავებული ექიმები. ალბად საქმის ასეთის ვითარებით ისარგებლა მეთერთმეტე სასანიტარო დასის თავმჯდომარემ, პატივცემულმა ნ. ი. ნიკოლაძემ, და აღძრა ის აზრი, რომ ძლიერი ქალაქი დაეხმაროს ძალ-ღონით სუსტს სოფელსაო. რაღა თქმა უნდა, ბ-ნ ნიკოლაძის აზრის განხორციელება დიდი სიკეთე და ბედნიერება იქნება ჩვენის სოფლისათვის. თვით ქალაქი ტფილისი დიდის მადლობის ღირსი გახდება ამისთანა შემწეობისათვის. სწორედ მაშინ დაამტკიცებს ტფილისი, რომ იგი დედაა სოფლისა და არა დედი ნაცვალი, რომ ქალაქი ღირსია მეთაურობისა და პირველობისა, დედაქალაქობისა.

სამწუხაროდ, ბ-ნ ნიკოლაძის წინადადებამ ქალაქის გამგეობისა და სასანიტარო ექიმების შეერთებულ კრებაზედ დიდი სჯა და ბაასი გამოიწვია. განსაკუთრებით მკურნალნი ცხარობდნენ, რა მოვალეა ქალაქი დაეხმაროს სოფელსაო, ჩვენ ჩვენს თავს უნდა მოვუაროთო, სად შეგვიძლიან სოფელს ხელი გავუწვდინოთო და სხვ. მოწინააღმდეგეთ საბუთებით უმტკიცებდნენ, რომ ქალაქის დახსნა სენისაგან დამოკიდებულია სოფელზეო. ეს ერთი და მეორეც ისა, რომ სინიდისი და კაცთ-მოყვარეობა მოითხოვს, გაჭირვებაში მეზობელს ხელი გავუწვდინოთო. ასეთმა კეთილშობილმა საუბარმა ვერ დაარღვია ჯიუტობის კედელი და სარჩიელი ბ-ნ ნიკოლაძისა გადაეცა განსახილველად კომისიას, ე. ი. გადაიდო, ვინ იცის, რამდენს დღეს. საქმე-კი ისეთია, რომ ერთს დღესაც არ შეიძლება მისი დახანება.

ვიმეორებთ, დიდადა ვსწუხვართ, რომ მთელის გუბერნიის დაღუპვისაგან დამხსნელი სარჩიელი ბ-ნ ნიკოლაძისა, რომელმაც პატივცემულის ქალაქის მოურავის მინდობილებით წარუდგინა ეს აზრი გამგეობას, მაშინვე არ იქმნა შეწყნარებული და სისრულეში მოყვანილი.

ხვალ, 30 ივლისს, ექმნება სჯა ზემოხსენებულს კომისიას და იმედი გვაქვს, რომ ერთ-ხმად გადასწყდება, ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს ქალაქმა სოფელს, იმ სოფელს, რომელიც ასაზრდოებს და აცოცხლებს ქალაქს და ურომლისოდაც ქალაქი ვერ იქალაქებს...

ა. ფრონელი

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დილით, 27 ივლისს, იყო 7 კაცი და ერთი ქალი; იმავე დღეს მიიყვანეს ერთი კაცი და ორი ქალი: ზაქარია ასლამაზოვი (ახალშენი ალექსანდრედორფი, მუშტაიდს იქით), ვასსა კაიპაკოვა (9 ნაწ., პანასეევის ქუჩა, სახ. რენცისა) და ნინო ვალფრამი (9 ნაწ., თუმანიშვილის ქუჩა, სახ. თუთურიანცისა); მორჩა ერთი—ავეტისოვი. დილით 28 ივლისს იყო ხოლერით ავადმყოფი 7 კაცი და 3 ქალი.

სპარსელთათვის დროებით აგებულს ბარაკში 28 ივლისს მიიყვანეს ერთი, აშიმ-ნაღი-ოღლი.

სახლში სწამლობენ: ამბარცუმ ანტონიანცს (5 ნაწ., აბას-აბათის მოედანი, სახ. № 9); შაქრო ბერიევს (პატარა ფეთხაინის ქუჩა, სახ. ალექსანდროვისა); მელანია ბეგიჯანოვისას (3 ნაწ., ყრუ ქუჩა, საკუთარი სახლი); 27 ივლისს ავად გახდა ზურაბ ოდეშელიძე (პირველი თუმანიშვილის ქუჩა, სახ. № 25) და ტიხონ ტურინი (კახეთის ქუჩა).

27 ივლისს გახდა ავად და გაგზავნეს სამხედრო ლაზარეთში ჩილინგდარის ცოლი ანნა მაიეროვიჩი (10 ნაწ., დიდუბე).

კარგად გახდნენ სახლში: 27 ივლისს ირინა შჩერბინინისა, ეფემია

## ფელეტონი

### ეგზემენის წინად *)

(მოთხრობა გეორგ ბენდლერისა)

შუაღამე რომ გადავიდა, კარლს უეცრად გამოეღვიძა. საშინელი სიზმარი ნახა და იმიტომ წამოხტა. გონება მაშინვე მოიკრიბა. ოთახში ჰაერი ისე შემძიმდა, რომ კარლს სუნთქვა უჭირდებოდა. გულზედ ლოდსავით რაღაც დასწოლოდა. მოაგონდა, დღეს ეგზამენი უნდა დავიჭიროო, და უცნაურმა შიშმა აიტაცა. რამდენისამე საათის წინად გულდამშვიდებით ელოდდა ეგზამენს, ხოლო ეხლა, რა-კი ბედ-იღბლის გადამწყვეტი დრო მოახლოვდა, კარლი ძლიერ აღელდა და ძილი სრულიად გაუფრთხა. ღმერთო, რა ნაირად ცხელა, რა მძიმე ჰაერია! რომ ჩვეულებისამებრ ფანჯარა ღია დაეტოვებინა, იქნება არ გამოჰღვიძებოდა! კარლს ეჩვენებოდა, ყოველს წუთს უფრო და უფრო მძიმდება ჰაერიო. საბანი სულს უხუთავდა. ოფლი წურწურით გადმოსდიოდა და მთრთოლარე ძარღვები ნებას აღარ აძლევდა დაწოლისას. თავმა ტკივილი დაუწყო, სისხლი აღარ უმშვიდდებოდა. ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი! ისა სჯობდა, რომ შემოსულიყო ის რაღაც ოხერი კატაა, ის ემჯობინებოდა ასე სულის შეხუთვას! კარლი წამოხტა და ფანჯარა გააღო. თბილი ღამე იყო. ჰაერი ჯერ ისე რიგად არ გაგრილებულიყო, მაგრამ კარლს ძლიერ ცივადაც ეჩვენა და ხშირად დაიწყო სუნთქვა. ამასთანავე გულიდგან შიშიც გადაეყარა.

იდგა კარლი ფანჯარასთან და ეზოში გაიცქირებოდა. მეორე სართულში სინათლე დაინახა; არტურის ოთახიდგან გამოდიოდა. ნუ თუ მოვიდა კიდეც? არტურისთვის ამ დროს დაბრუნება ძლიერ ადრე იყო. ალბად იმიტომ თუ დაბრუნდა, რომ ამ უკანასკნელს დღეს გადაათვალიეროს წიგნები. ცუდი არ იქნებოდა, რომ კარლსაც ცოტა კიდევ ემუშავნა; ძილი მაინც არ ეკიდებოდა.

რა კარგი იქნებოდა, რომ არტურის მიერ წაღებული რვეული ეხლა აქა ჰქონდეს კარლსა. ის რვეული ძლიერ საჭიროა. არტურმა უთხრა, თუ დაგჭირდეს, ჩემთან შემოიარეო. მაგრამ ასე გვიან წავიდეს? ვითომ რატომ არაო? არტურს არა სძინავს; აგერ ფარდაში სჩანს, რომ ჩრდილი ინძრევა.

კარლმა ჩაიცვა, აიარა კიბე და ეზოში გავიდა. კიდევ შეჰხედა არტურის ოთახის ფანჯარას და განცვიფრებული შეჩერდა. თვალში ეჩვენა, რომ ოთახში მარტო არტური არ იყო; ფარდაში ორის ადამიანის ჩრდილი მოსჩანდა.

კარგად შეაცქერდა კარლი ფანჯარას და შეყოყმანდა, წავიდე, თუ არაო. სწორედ რომ არტური მარტო არ არის. აი ეხლა კარლმა კარგად გაარჩია ორის ადამიანის ჩრდილი; ხან ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ხან შორდებოდნენ. აი კიდეც მოეხვივნენ ერთმანეთსა, სახე სახესთან მიიტანეს და პირი-პირს მიადეს. ხანგრძლივ ჰკოცნიან ერთმანეთსა, უთუოდ ან ერთმანეთს ემშვიდობებიან და ან ახლად უნახავთ ერთმანეთი დიდის ხნის უნახულობის შემდეგ.

დიდხანს იფიქრა კარლმა, რა ამბავია არტურის ოთახშიო, და ბოლოს თვით აღელვებულმა გულმა წასჩურჩულა, რაც უნდა ყოფილიყო. ის ქალი არტურის და არის. უთუოდ შეიტყო არტურის დაბრუნება და შევიდა იმისს ოთახში ძმასთან გამოსამშვიდობებლად. ალბად, რა-კი ხვალ ეგზემენია, დამ მოისურვა ძმის მიალერსება და იმის თქმა, რომ ყოველივე ჩემი იმედი შენა ხარო. გერტრუდა ხომ იმისთვისაა გაჩენილი, რომ სხვებს მიანიჭოს ბედნიერება!

კარლი იდგა და ისევ არტურის ფანჯრისკენ იცქირებოდა გაუნძრევლად, თითქოს მოჯადოებულიაო. ახ, ნეტავი ერთი კარგადა სჩანდეს ფარდაში ადამიანი, რომ კარლმა თვალი მოჰკრას გერტრუდას.

უეცრად ფანჯარაში შუქმა იკლო. ალბად გერტრუდა წავიდა და არტური დაწოლას აპირობს. თუ კარლს რვეულის წამოღება უნდა, ეხლა-კი დროა, რომ წავიდეს არტურთან. კარლმა აიარა ბნელი კიბე დ უეცრად განცვიფრებული შეჩერდა. ოთახიდგან კიდევ მოისმოდა ხმა, ჩურჩული და ნელი სიცილი. მაშ არტური მარტო არა ყოფილა, ჯერ და არ წასულა! არტურთან შესვლა არ შეიძლება; როგორ გაჰბედავს შესვლას ამ უდროო დროს. მაგრამ მაინც რად მიიწევდა

*) იხ. „ივერია“, № 158.

ვართანოვისა, ნატო ბაქარიანცისა და მიხეილ გამაზოვი.

23 ივლისს ავად გამხდარი ტიგრან ჩუმოვი, რომელსაც სახლში სწამლობდნენ, ხოლერით არ იყო ავად.

გარდაიცვალნენ სახლში 27 ივლისს მიხეილ გირმიშაშვილი და არტემ ავთანდილოვი, რომლებიც იმავე დღეს გახდნენ ავად.

რკინის გზის სამკურნალოში გარდაიცვალა 26 ივლისს მათე ლეჟოვი. სამხედრო სამკურნალოში გარდაიცვალა 26 ივლისს გეურქ ოჰანეზოვი.

გორში 26 ივლისს კვლავ გახდა ავად 8 კაცი, გარდაიცვალა 5, დარჩა ავადმყოფი 23 კაცი. ბორჯომს 24 და 25 ივლისს გარდაიცვალა 3. სურამში 24 ივლისს ავად გახდა 1. კასპში 25 ივლისს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1. ქარელში 26 და 27 გარდაიცვალა 3, სოფ. ახალქალაქში 22—25 ივლისამდე გახდა ავად 19 კაცი, გარდაიცვალა 9. კავთისხევში გახდა ავად 6. სოფ. ჩოჩეთში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

სოფ. მუსხში (ახალციხის მაზრა) გახდა ავად ხუთი, გარდაიცვალა ერთი; ახალციხეში გახდა ავად 27, გარდაიცვალა ერთი.

ბორჩალოს მაზრაში: თხუთმეტს ივლისამდე ეკატერინენფელდში გახდა ავად 43, გარდაიცვალა 14, მორჩა 6; ს. იმერაში გახდა ავად 8, გარდაიცვალა 3; სოფ. ფახრალოში გახდა ავად 12, გარდაიცვალა 4; სოფ. სარაჩლოში გახდა ავად 6, გარდაიცვალა 5; სოფ. გეურარნში გახდა ავად 5, გარდაიცვალა 5; სოფ. კურტლიარში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 4; ჯალალოღლში გახდა ერთი, გარდაიცვალა ერთი; ძველ-ქვეშში გახდა ავად 1, გარდაიცვალა 1. ეხლა ეკატერინენფელდში 13 კაცია ავადმყოფი. სოფ. ფახრალოში და სარაჩლოში ყველა ავადმყოფნი რჩებიან და ხელ-ახლად აღარავინ გამხდარა ავად.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილისაგან ხოლერით სოფლად დაზარალებულ ღარიბ ხალხის სასარგებლოდ 10 მ., ვლადიმერ მაჭავარიანისაგან 1 მ., № 1 მ. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 352 მან. ამითი შესდგა 364 მან.

*** 24 ივლისს ბორჯომში ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. გორის მაზრის სოფ. ურბნისში ავად გახდა 20, მორჩა 6, გარდაიცვალა 8; სოფ. ყელქცეულში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 6; სოფ. დვანში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, მორჩა 1; სოფ. ავნევში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 2, მორჩა 1; სოფ. რუისში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2; სოფ. სკრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, მორჩა 1; სოფ. ხოვლეში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; სოფ. ხეითში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1; სოფ. ტირძნისში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 7, მორჩა 1; სოფ. ერგნეთში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; სოფ. მეღვრეკისში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, მორჩა 1; სოფ. საქაშეთში ავად გახდა 2; სოფ. ფხვენისში ავად გახდა 1; სოფ. დგვრისში ავად გახდა 3; სოფ. წრომში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2; სოფ. ცხინვალში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2; სოფ. ახალშენში ავად გახდა 1; სოფ. ზემონიქოზში ავად გახდა 3; სოფ. გუჯაბაურში ავად გახდა 1; სოფ. რუისში კიდევ ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1; სოფ. ატენში გარდაიცვალა 1; ხიდისთავში გარდაიცვალა 1; დუმაცხოში ავად გახდა 1; გომში გარდაიცვალა 1; წრომში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2; ზემოჭალაში ავად გახდა 1; სოფ. კასპში ავად გახდა 3; ხვედურეთში ავად გახდა 1; სოფ. ხცისში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 11; რუისში კიდევ ავად გახდა 2; ახალქალაქში ავად გახდა 2; სოფ. მეტეხში ავად გახდა 2; ხიდისთავსა და გორს შუა გზაზედ გარდაიცვალა მეჯრუხევის მცხოვრები გიგოლა ხომასური.

სიღნაღის მაზრის სოფ. მირზაანში 23 ივლისს ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; სოფ. ანაგაში გარდაიცვალა 3. სოფ. ზემო-მაჩხაანში ავად გახდა 6, მორჩა 2, გარდაიცვალა 2; სოფ. გურჯაანში ავად გახდა 1. დაბა-ლაგოდეხში და სოფ. ქვემო-მაჩხაანში რამდენიმე კაცი გახდა ხოლერით ავად.

*** ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 25 ივლისს ქუთაისში ავად გახდა 4; ზუგდიდის მაზრაში ავად გახდა 2; გარდაიცვალა ქუთაისში 2, ფოთში—1; ავად არის: ქუთაისში—3, ფოთის სამკურნალოში 11, სამკურნალოებს გარეშე 1, ზუგდიდის მაზრაში—3.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 25 ივლისს მთელს გუბერნიაში 228 ხოლერით ავადმყოფი იყო.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა, იმის შიშით, რომ სოფლებიდგან ხოლერა ისევ ქალაქში არ გადმოვიდეს, გაჰგზავნა სოფლებში ხუთი ფერშალი და ერთი მკურნალი: ერთი ფერშალი — ავჭალას, მეორე სოფელ დიღომში და დანარჩენებიც იქ გაიგზავნებიან, საცა საჭირო აღმოჩნდება.

*** რადგანაც დუშეთის მაზრაში ხოლერა ძრიელ გავრცელდა, ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა კავკავის გზის იჯარადრებს, გამართონ სადგურები ხოლერით ავადმყოფთათვის.

*** კვირას, 26 ივლისს, წირვის შემდეგ ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიის გალავანში დაარსდა უფასო საჩაიე.

*** ტფილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით, სასანიტარო მეოთხე დასის მკურნალი ბ-ნი სარქისოვი გადაყვანილ იქმნა მეთერთმეტე სასანიტარო დასში.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი გვთხოვს გამოვაცხადოთ უფასო სასადილოსთვის ფულის შემწირველთა სია:

18—27 ივლისიდგან შესწირეს დ. ი. ზედგინიძემ 5 მანათი, სხვადა-სხვათაგან შეგროვილი იმავე დღეს, რა დღესაც დაარსდა უფასო სასადილო, 42 მ., ქ-ნმა გეტეეკმირმა 3 მანათი, ბ. გრებნერმა 3 მ., ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეთ 25 მ., ს. პ. სტეფანოვმა 10 მ., ალექსანდროვის ბაღის ყულაბში შეგროვდა 34 მ. 94 კ., ფრიდონოვის კანტორიდგან 100 მან., ტ. ა. ფეფეზოსაგან 25 მან., პ. მირთაკისაგან 1 მ., მ. ვ — მ 5 მან., ბ. კეკელიძემ 6 მ., სააქციზო მოხელეთა გამგეთაგან 32 მან., ავლაბარში № 50 კ., № 50 კ., საინტენდანტო მმართველობის მოხელეთაგან—30 მ. 70 კ., მ. გ. ტერ-დავიდოვმა 5 მ., ტ. მ. ტერ-დავიდოვისამ 3 მ., ნ. ა. ბაგატუროვისაგან 6 მან. 25 კ., ყვირილიდგან ე. ლ—საგან 10 მ., ბორჯომიდგან დ. კ—საგან 14 მ., ე. ზ. იარალოვისამ 25 მ. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელეთაგან 41 მ. 54 კ., ს. პ. სტეფანოვმა 5 მ., ნ. ო. სტეფანოვისამ 5 მ., ა. ი. ოსეფოვმა 25 მ., გ. კ.—100 მ. ამოღებული იქმნა ყულაბიდგან, რომელიც პუშკინის ბაღშია,—27 მ. 35 კაპ., სულ 670 მ. 28 კ. სანოვაგე შემოსწირეს: ქ-ნმა სავიჩმა 5 გირვანქა მარილი, 20 გირვანქა ბრინჯეული, 10 გირვანქა ფქვილი, გურგენოვმა—20 გ. ვერმიშელი, მისივე ექქვსის წლის ქალიშვილმა 4 ყუთი მაკარონი, 2 ფუთი ვერმიშელი, 1 ფ. და 20 გ. აქულის ბრინჯი, ვ. ბერელაშვილმა—50 ბოთლი ღვინო, ტ. სტეფანოვმა 12 კოვზი, გაზეთ „Л. Т.“-ის რედაქტორმა ი. გ. ხაჩატუროვმა—10 გ. ჩაი, ქ-ნმა გეტე-კემერმა—1 ფ. შაქარი და 1 გ. ჩაი, ქ-ნმა ფრიდმანისამ — 2 გ. ჩაი, №№—ერთი კალათა ბულკი, 7 პური და 50 ბლითი.

*** რკინის გზის საფოსტო მატარებელი № 1, რომელიც ბათუმიდგან ტფილისს დილის 10 საათზედ ჩამოდიოდა, 28 ივლისიდგან აღარ ივლის.

*** მცხეთა: 27 ივლისს მცხეთაში ხოლერით ავად იყო 7, გარდაიცვალა 3.

*** კასპი: 27 ივლისს სოფ. კასპში ხოლერით გარდაიცვალა 2, ავად არის 10. 26 ივლისს გარდაიცვალა 1 ქალი და ავად გახდა 3.

*** ხაშური: 26 ივლისს სადგურს ქ. ხაშურს ახლო მატარებლიდგან № 40 გადმოვარდა კონდუქტორი ნიკოლოოზ მელნიკოვი, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და მარჯვენა მკლავი მოეგლიჯა. დაშავებული ტფილისში გაჰგზავნეს.

*** სოფ. წილკანი, 26 მკათათვე: ვეშურები საჩქაროდ შეგატყობინოთ ჩვენის სოფლის უბედურება: 14 ივლისიდგან გაუსო ხელი ხოლერამ და დღევანდლამდის 15 კაცი იმსხვერპლა. ოციც კიდევ ავად არის. შეშინებული და იმედ-გადაწყვეტილი სოფელი გაიხიზნა ორის ვერსის სიშორეზედ, მახლობლად ჭაობებისა, სადაც საუკეთესო ნიადაგია ხოლერის ბაცილების გასამრავლებლად. მაინც მეტი ღონე არა აქვს სოფელს, ამაზედ უკეთესი ადგილი აქ არ მოიპოვება და საზღვარ-გარედ არავინ გაგვიშვებს. გახიზნულებშიაც თითო-ოროლა ხდებიან ავად და ისევ სოფელში მოდიან, სადაც ფერშალი სწამლობს. არ შეიძლება იმაზედ დიდი ტანჯვა და ვაება, როგორშიაც ჩვენ ჩავცვივდით: ბანკის მიერ შეწირულ წამლებიდგან გვარგუნეს ცოტაოდენი, მაგრამ რა გაგვიხდებოდა. 23 ივლისს დუშეთს ავედით და გამოვუცხადეთ უფროსს, რა მდგომარეობაშიაც არის სოფელი. როგორც იყო, გამოგვაყოლეს ერთი ფერშალი (ეს ფერშალი 16 წლისაა). ექიმიც მეორე დღეს უნდა ჩამოსულიყო, ექიმი მოვიდა, მამასახლისს ჰკითხა, რამდენი გარდაიცვალა და ან რამდენი არის ხოლერით ავადაო,—აი ამითი გაათავა ექიმობა. მაზრის უფროსისათვის-კი ასე მოეხსენებინა: წილკანში მშვიდობიანობა არის, ხოლერით ავად არავინ არისო. ვაი-ვაგლახით ჩამოყვანილი ფერშალი, როგორც ეხერხება, ავადმყოფებს უვლის, მაგრამ ეჰვი არ არის, ცუდს დროს შემოგვაკლდება წამლები. ამაზედ დიდი გაჭირვება აღარ შეიძლება. თქმა არ უნდა, მთავრობა უყურადღებოდ არ დაგვტოვებს, მალაზიის ფულიდგან*) სამოცს, ან ორმოცს თუმანს მოგვაშველებს და ამ გვარად უდროოდ სიკვდილს გადაგვარჩენს.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): 24 ივლისს აქ ავად გახდა ორი რკინის გზის მუშა-კაცი ხოლერით. ბედზედ გაუჩნდათ ფერშალი და სიკვდილისაგან გადაარჩინა ავადმყოფები. ხალხს ჯერ არა სჯეროდა, თუ ეს ავადმყოფობა ხოლერა იყო, ვიდრე მეორე დღეს რამდენიმე კაცი არ გახდა ავად პირღებინებითა და ფაღარათობით. მაშინ-კი დაფაცურდა მთელი ქარელი. თავადიშვილები მთებში გაიხიზნენ. ვინც დარჩა სოფლად, ისინიც ეპირებიან გახიზნვას. გლეხკაცნი-კი აბა როგორ დაანებებენ თავს თავიანთ სამუშაოს. ისინი ისევ გაჭირვების დროს მღვდელს მიჰმართავენ ხოლმე. იმ დღეს ბლაღოჩინმა მღ. მცხვედაძემ რამდენიმე ავადმყოფი გასინჯა და დაგვარწმუნა, რომ ხოლერააო.

უნდა მოგახსენოთ, რომ მამა ცხვედაძე ერთად-ერთი იმედია ქარელელ გლეხ-კაცობისთვის ავადმყოფობის დროს, და აი ახლაც, ყველა

*) მალაზიის ფულის თხოვნით სოფელმა უნდა მიჰმართოს ადგილობრივს მაზრის უფროსს. თხოვნასთან სოფელმა ყრილობის განაჩენიც უნდა წარადგინოს. რედ.

---

წინ კარლი! ყურის დაგდება-კი არა სწადდა კარლსა, არამედ უნდოდა იმას მიახლოვებოდა და დამტკბარიყო იმისის ხმითა. კარლმა ყური მიადო კარებს. ყოველივე სიტყვა კარგად ესმის.

— ცოტა ხანს კიდევ დარჩი!

— გამიშვი, მინდა წავიდე!

— ერთი წუთი კიდევ!

— არა, უნდა წავიდე. ძმამ რომ გამიგონოს, ან გამიგოს, უსიკვდილოს არ გამიშვებს!

— რას ამბობ, ჩემო კურდღლის ბაჭიავ, ნუ ხარ ეგრე სულელი! შენი ძმა ეხლა გულის ძილშია. თუ გეშინიან, მე გაგაცილებ. კარები გავაღოთ და იმ ფანჯარიდგან გადაგსვამ, საიდამაც გადმოგიყვანე. აბა მიყურე: აი ესე აგიყვან მაღლა და... შინ იქნები! ძე ხორციელი ვერავინ გაიგებს.

საბრალო კარლი ბნელაში იდგა, თრთოდა და ბოღმისაგან წინაღამ საფეთქლები დაუსკდა. განაგონით თითქმის სრულიად გადაირია და აღარ იცოდა, რა ექნა. მოჰკიდა ხელი კარის ზარს, უნდოდა უეცრად შესულიყო, მაგრამ გამბედაობამ უმტყუნა. ჩურჩულმა და ნელმა სიცილმა ყოველისფერი შეატყობინა საბრალო კარლსა. თრთოდა და ერთს ალაგას იდგა, იმოდენა ღონეც აღარ შერჩა, რომ თითიც არის გაენძრია, მხოლოდ გული საშინლად აუდ-დაუდიოდა და ჰაერს ეძებდა. თვალებიდგან ნაპერწკლები სცვიოდა, ყურებმა წივილი დაუწყო. ეს-კი კარგად ესმოდა და იცოდა კარლმა, რომ ვერც არტური გაუსხლტებოდა ხელიდგან და ვერც თავისი და.

თითო წუთი კარლს მთელს საუკუნედ ეჩვენებოდა. აი მოესმა ფეხის ხმა, ტანისამოსის შრიალი და თითოოროლა სიტყვაც. წასვლას აპირობენ. კარლი წელში გაიმართა და გვერდზედ მიდგა. გაიღო კარები, განათდა და კარლმა დაინახა ლიზა, ლოყებ გაწითლებული ღ თვალებ ანთებული. ლიზა გაწეწილს თმას ისწორებდა, ხოლო არტურს ქუდი ხელში ეჭირა, თავისს საყვარელს სიმღერას ღიღინებდა ღ ლიზას გაცილებას უპირებდა. გამოდგა თუ არა ლიზამ ფეხი აივანში, უეცრად იგრძნო, რომ ვიღამაც მაგრად ჩაჰკიდა ხელი და თან ნაცნობი ხმაც გაიგონა: „გაჩერდი!“-ო. ქალი უეცრად გაუსხლტა ხელიდგან და გაქანებით ჩაირბინა ბნელი კიბე. კარლმა ამას ყურადღება არ მიაქცია და ოთახში შევიდა, რომ პასუხი მოეთხოვა არტურისთვის. არტურმა უკან გადასდგა ფეხი. ამხანაგებმა ერთმანეთს შეჰხედეს.

გაჰარა რამდენმამე ხანმა და ისევ ჩუმად იდგნენ. კარლს უნდოდა დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ხმამ უმტყუნა; მხოლოდ ლუღლუღებდა-ღა. არტურმა უფრო მალე მოიკრიბა გონება. დაფარვა შეუძლებელი-ღა იყო; ამას არტური კარგადა ჰგრძნობდა. არტურმა იცოდა, უსიამოვნებას ვერ ავცდებიო, ტუჩები ჩაიკვნიტა, შეიშმუშნა და დაიწყო:

— ყური მიგდე, კარლო, გონებას დაუფიქრდი; ქალი დამნაშავე არ არის. იმას აქ მოსვლა არ უნდოდა. მე დავაძალე. ან-კი ისეთი რა მოხდა? ლიზა მხოლოდ ისე პატარა ხანს იჯდა აქა. ესეთი ამბავი მეორედ აღარ მოხდება. ჩვენ მეტმა არავინ არა იცისრა... გონებას დაუფიქრდი და დამშვიდდი!

არტური ნაყე-ნაყე ლაპარაკობდა. თითო სიტყვას ცალკ-ცალკე ამბობდა. ერთის სიტყვის შემდეგ აღარ იცოდა, მეორე რაღა ეთქვა.

კარლს არა ესმოდა-რა; ისიც-კი ვერ გაიგო, რომ არტურმა ხელი გაუწოდა. ჰფიქრობდა კარლი, რა და როგორ ვუთხრაო, მაგრამ სიტყვას ისე ადვილად ვერ ახერხებდა, როგორც არტური. ამ საშინელ მღელვარების დროსაც კარლი ისევ ადამიანად ეჩვენებოდა კაცსა. „თქვე უმსგავსო“-ო, ამაზედ მეტის თქმა ვეღარ მოახერხა საწყალმა.

არტური შეხტა, გაოცდა. სხვას, ვინც უნდა ყოფილიყო, ამ სიტყვისთვის არტური სილას გაარტყამდა, მაგრამ არტური ბავშვობიდგანვე იმასთან ერთად შეზრდილი მეგობარი იყო, და ამიტომ თავი შეიკავა. თუმცა არტური ძლიერ ქარაფშუტა კაცი იყო, მაგრამ თავის შეკავება-კი იცოდა, როცა გული ეუბნებოდა, მტყუანი ხარო.

— ღმერთს მადლობა შესწირე, წარმოსთქვა ნელის ხმით არტურმა: რომ კარლი შულცე ხარ, თორემ მე გიჩვენებდი, რანაირად გადუხდიან ხოლმე მაგ ნაირს შეურაცხებას!

კარლმა პირდაპირ შეჰხედა არტურსა.

— მე არ მინდა, რომ სხვებში გამოვერჩიო... მეც, მგონი, ნება მაქვს, რომ ისე მოვიქცე და ისე მომექცნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშინებული გლეხ-კაცი იმასთან გარბის და დახმარებას ევედრება. მამა ბლალოჩინიც არ უშინდება ამ შემაძრწუნებელს სენს: ჰსინჯავს ავადმყოფებს, აძლევს წამალს უფასოდ, არიგებს, როგორ მოიქცნენ, და სხვაფრივაც მზაა ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს. მაგრამ აბა რას უნდა გახდეს ერთი კაცი უექიმოდ ამ საშინელის მტრის წინაალმდეგ, რომელიც დიდს ომს უპირებს უსუფთაო და უპატრონო ქარელს.

*** კაკკაკი: სოფ. ოლგინსკაშიაც გაჩნდა ხოლერა. გაჩნდა აგრეთვე ზოგიერთს ქისტის სოფლებშიაც. ხუმელაგაში თანდათან უფრო ძლიერდება. ოცს ივლისს იქ ოთხი მიცვალებული იყო. ხალხი ღმერთივით იხვეწება, წამალი გვასწავლეთ და ნუ დაგვზოგავთ ფულის მხრივაო, მაგრამ ვინ არის პატრონი. მარტო მღვდელი და მღვდელი. დაუღალავად მიდი-მოდის მრევლში და უწერს საჭირო წამლებს, რაც ექიმებისაგან სმენია. ოცს ამ თთვეს სოფ. ბრეთიდგანაც მოვიდა ხმა ხოლერის გაჩენისა. ბრეთშიაც არა ჰყავთ ფერშალი.

*** კაჭირი: (სიღნაღის მაზრა): ნათლის მცემელობის დღეს მღ. ი. თუქუმაშვილმა უქადაგა წირვის შემდეგ სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ ეკკლესიაში მრავლად თავმოყრილს ხალხს, რომელმაც გულ-მოდგინედ მოისმინა მღვდლის საგულისხმიერო ქადაგება. სხვა რომ სულ იქით იყოსო, ბრძანა მქადაქებელმა სხვათა შორის: თქვენის შვილების საბედნიეროდ ყოველ სოფელს შეგიძლიან გაჰმართოთ თითო-კლასიანი სასოფლო სკოლა იმ ფულით, რომელსაც ცუდუბრალოდ ჰხარჯავთ ყოველ წლივ მანდილოსნების უსარგებლო ძვირფას ჩასაცმელ-დასახურსა და დღეობის დროს ნამეტან სასმელ-საჭმელშიო.

*** ქუთაისი: ხელოსანთა თავის ასარჩევად 22 ივნისის რიცხვისათვის დანიშნული კრება შესდგა პირველ ივლისს. ამ დღეს ხუთასამდე მოხელე ხალხმა მოიყარა თავი იმ შენობის კარ-მიდამოსთან, სადაც მოთავსებული არის ხსენებულ დაწესებულების სამმართველო. ხუთას მოხელეთაგან მხოლოდ ოც-და-თვრამეტს კაცს მიენიჭა უფლება კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა და სხვებიკი უკმაყოფილოდ დასტოვეს საკრებულო დარბაზს გარეშე იმ გარემოების მიხედვით, რომ მათ არ აღმოაჩნდათ ქუთაისში „საცენზო“ უძრავი ადგილ-მამული და ამის გამო, როგორც წინადაც გაუწყეთ, განაძევეს ისინი საკენჭო სიიდგან და კრებაზედ დასწრებაც აუკრძალეს. არჩევნის დაწყებამდე კენჭის მქონე მოხელეებმა მიიღეს ფიცი თავ-თავიანთ სარწმუნოებაზედ და შემდეგ ფიცის მიღებისა მოისმინეს პოლიცმეისტრის თ. ზ. ჭავჭავაძისაგან შესაფერი დარიგება. მან, დასასრულ, ურჩია, რომ ხელოსანთა სამმართველოს წინამძღვრად აირჩიეთ ისეთი კეთილ-საიმედო კაცი, ვისზედაც უფრო გენდობათ გული და ვისი იმედიც უფრო გაქვთო. ბ-ნ ჭავჭავაძის ამ გვარი რჩევა დიდის სიამოვნებით მიიღეს კენჭოსნებმა და კიდეც ეს იყო იმის შედეგი, რომ, წინაალმდეგ ორის შავის კენჭისა. ხმის უმეტესობით აღირჩიეს ისევ ის კანდელაკი, რომელიც წარსულის წლის პირველ დეკემბრის კრებაზედ აირჩია სამასზედ მეტმა მოხელემ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ბ-ნ კანდელაკს საქმის კარგად წაყვანით გაემართლებინოს მოხელეთა იმედი...

*** სიღნაღი: სამწუხარო ამბავი შევიტყეთ: ს. ზემო-მაჩხაანის კალოები 20 ივლისს შირაქში მთლად იწვისო. ჯერ 76 კალოა გადამწვარი და დღეს გაიყვანეს დიდ-ძალი ხალხი გასაქრობად, მაგრამ რა იქნება? სანამ მიეშველებიან, სულ შთანთქავს მზად მოტანილს სარჩო-საბადებელს ეს შეუბრალებელი სტიქიონი.

ბეჟანბაღს ახლო უპოვნიათ ერთი კაცი მკვდარი, ფეხებ-გაკრული. ნუკრიანს ახლოც უპოვნიათ მიწაში ჩაფლული მკვდარი კაცი.

*** გაზეთ „Кавказъ“-ი იუწყება; ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე კატოვიჩი, რომელიც ტფილისში პოლიცმეისტერის თანაშემწეს მოვალეობას ასრულებდა, ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით გაგზავნილ იქმნა გორის მაზრაში ხოლერის წინაალმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

*** იგივე გაზეთი იუწყება: ტფილისიდგან გორის მაზრაში გაიგზავნა ფერშლის 4 მოწაფე ხოლერის წინაალმდეგ საბრძოლველად და თითოს თთვეში 50 მან. ჯამაგირი დაენიშნა.

*** გაზეთ „Т. Л.“-ს კავკავიდგან სწერენ, რომ იქაურ ოლქის მმართველების მოხელეთ თანხმობა გამოუცხადებიათ, თავიანთ ჯამაგირიდგან ფული შესწირონ კავკავის ოლქში ხოლერით დაზარალებულთათვის.

*** გაზეთ „Нов. Обоз.“-ს სწერენ, რომ გზათა სამინისტრომ განკარგულება გამოსცა, ვიდრე საქმე გადასწყდებოდეს, თუ რამდენი ქალი უნდა იყოს მიღებული ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ სამსახურში, იმ დრომდე ქალები აღარ მიიღონ ხსენებულს რკინის გზაზეო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის ხარჯის ამკრებმა, მილიციაში ნამსახურმა მღვდლის შვილმა იოილ ყანჩაველმა, პოლიციაში გამოაცხადა, რომ 27 ივლისს, საღამოს $5^1/_2$ საათზედ, სატიოდგან მოვდიოდი და თან ქალაქში შეკრებილი 7 მან. და 14 კაპ. მომქონდაო. ვერის სასაფლაოსთან დამხვდა ორი ავაზაკი, გზა გადამიღობეს და გაჩერდიო, მითხრეს. მე არ დავუჯერე, ხანჯალი ამოვიღე და ვგონებ ერთი დავსჭერი კიდეცაო. დაჭრილმა დაიყვირა, მიშველეთო. ამ ყვირილზედ ოთხი კაცი გამოვარდა ბუჩქიდგან და დაჭრილი ხელით წამოაყენესო. მე-კი ამ დროს მოვასწარი და გამოვიქეციო.

*** ამავე დღეს კიროჩნი ქუჩაზედ იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## მთავრობის განკარგულებანი

ბორჩალოს მაზრის მმართველობის თარჯიმანი, თავ. დავით თარხან-მოურავი, დანიშნულ იქმნა ყაზახის მაზრის დისტანციის უფროსის მოადგილედ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**რაჭა.** დიდი შიში გვადგია რაჭველებსაც ხოლერის გამო. რადგანაც ტფილისისა და ბაქოდგან აუარებელი მუშა ხალხი დაბრუნდა ჩვენში, სწორედ გვეგონა, რომ ეს საზოგადო სენი ჩვენც გვესტუმრებოდა. მაგრამ ჯერ-ჯერობით დაცული ვართ, თუ აწი არ გავიწირენით. ყოველ შემთხვევისთვის ადმინისტრაცია თავისას აკეთებს: გამოცხადდა სოფლის ყველა საზოგადოებაში, რომ დაიცვან სისუფთავე, არ დაეძალონ ხილეულობას, გამაიტანონ ნაკელი შორს ყანებში, და აგრეთვე დაურიგდათ დარიგება ხოლერისაგან ექიმობისა.

ზოგიერთი ჭირი მარგებელიო, რომ იტყვიან, ეს არის. რაჭაში, როგორც მთა-გორიანს, მაღლობ ადგილში, სიგრილეა. ამიტომაც აქაური ხალხი სიწმინდეს სისუფთავეს არ მისდევს. ნაკელი ყოველის პირუტყვისა ეზოშივე აქვს მთელის წლის განმავლობაში; მართალია, ნაკელს ყანაში გაუტანელს არ დასტოვებს, მაგრამ როდის? მაშინ, როცა მოცალება აქვს და ხარიც დასვენებულია. წელს-კი ფიცხელი ბრძანებაა მთავრობისა, რომ ორის კვირის განმავლობაში, ვისაც ნაკელი გაუტანელი ექმნება, 25 მანეთით იქმნება დაჯარიმებულიო, ძალას ატანენ. ამისათვის ყველა ეშურება გატანას ყანები მთლად მოიიფნა გამანოყიერებელის წამლითა და ეზო-კარ-მიდამოს-კი სისუფთავე დაეტყო.

კეთდება აგრეთვე სამკურნალოები ორ-სამ საზოგადოებაში ერთი. მაგრამ, ჩვენის აზრით, მისის სადგომებისთვის ყველგან ვერ აურჩევიათ მორიდებული ალაგები. თუ მცხოვრებლებს მახლობლად იქნება და ან გზის პირად, მაშინ შეიძლება ამ საავადმყოფომ უფროც გაავრცელოს ხოლერა.

მოსავალს წელს აქეთ გვარიანი პირი უჩანს. ვენახები არის შეწუხებული მილდიუსაგან. ვერმორელის მაშინა რამოდენამდე გავრცელდა აქაც, მაგრამ იმერეთთან—შედარებით ცოტაა. საქმე იმაშია, რომ ხალხში გაუვრცელებიათ ცრუ აზრი, ვითომ შაბიამანით ნაექიმარი ვენახი სამის წლის შემდეგ ხმებაო; აგრეთვე ნაწამლ ვენახის ფოთოლი, თუ ოთხფეხმა შეჭამა, მოსწამლავს და მოჰკლავსო. ვიმედოვნებთ, რომ ამ შემოდგომიდგან, როცა ნაწამლი ვენახები მშვენიერს მოსავალს მოგვცემს, ეს ცრუ აზრი განქრება და ყველანი დაუწყებენ ექიმობას.

უწერის წყლებზედ წელსაც ბევრი ხალხია. თუმცა ახალი შენობანი ბევრი მოუმატებიათ, მაგრამ ხალხი მაინც ვერ ეტევა და სოფლადაც გადის საბინადროდ. თვით წყლებზედ იმყოფება ახლად დაბრუნებული რუსეთიდგან ექიმი ბ-ნი გამყრელიძე. ძველს, ყოვლად უმგზავსოდ მოწყობილს აბანოებს აწ შეგვიძლიან ავსცდეთ, რადგანაც ეხლა ახალი აბანოები გაიმართა ბ-ნ კოკოჩაშვილის მიერ. რამდენიმე სასტუმროც გაიმართა. იშოვება მზად ყველაფერი, ასე რომ უწინდელი მოუხერხებლობა აღარ არის. ერთის სიტყვით, უწერის წყლების საქმე წინ მიდის. შაფათ საღამოდგან კვირა საღამომდის მრავალ ჟამიერი, დამბაჩების სროლა და კიჟინაც არ აკლიათ მოაგარაკეთა. ამ სიამოვნებას აძლევს ონის დაბალი ჩინოვნიკობა — გადამწერები, რომლებსაც ერთის კვირის დაქანცვის შემდეგ მეტად უჭირთ გართობა, სხვა უკეთესი გართობა, დარდის გადამყრელი რა-ღა იქნება, თუ არ ღვინო? ღვინოს-კი მოჰყვება ფაიტონები, ფაიტონს „გასწი, ბიჭო, უწერისაკენ“ და ამ გვარად და ამ სახით ამოჰყოფენ ხოლმე ეს ვაჟბატონები თავს უწერაში. იმათის აზრით, უწერაც საქეიფო ადგილია და იმიტომაც მოისწრაფიან აქ. ღვინით გაბრუებული თავი როგორ წარმოიდგენს ავადმყოფის მდგომარეობას, კვნესა ოხვრას, შიშს და გულის შემოყრას. აწ ამ მდაბალ მოხელეების მთავრობა რას ჰფიქრობს, როცა მათი „ჩინოვნიკები“ ამ საქმეებს სჩადიან? იქნებ ესახელებათ კიდეც, რომ მათი ხელქვეითნი ბევრს ღვინოსა სმენ, კაი მრავალ-ჟამიერი იციან და შეუძლიანთ კიდეც მთელი ღამე უძილოდ ქუჩა-ქუჩა სიარული! სწორედ რომ „საკვირველ არიან, უფალო საქმენი შენნი“!

?

**წყალტუბო** (ქუთაისის მაზრა). მოგეხსენებათ, რომ სოფ. წყალტუბოში სამინისტრო სკოლა გაიმართა ამ ათის წლის წინად. ამ სკოლის მზრუნველად მთელმა საზოგადებამ ერთხმად მაშინვე აირჩია დიდად პატივცემული მოძღვართ-მოძღვარი ადგილობრივი მღვდელი სპირიდონ ნიკოლოოზის ძე ფანცხავა, რომლის მეცადინეობითა და მამობრივის შთაგონებით გაიმართა თვით სკოლა. მას აქედ დღევანდლამდე იგია გამოუცვლელად ყურის მგდებელი და მზრუნველი ამ სკოლისა, რომელშიაც აღზრდილა ბევრი ყმაწვილ-კაცობა და იქიდგან გადასულთ განუგრძვიათ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში, სასულიერო, სათავად-აზნაურო და სამოქალაქო სასწავლებლებში. ნიშნად სოფლელთა სკოლისადმი ასეთის სამსახურისა, მეტის-მეტად სასურველია, რომ ათის წლის სადღესასწაულოთ 2 ოქტომბერს ერთად მოგროვდნენ ისინი, ვინც აქ მიიღო სწავლა და მათი მშობლების და ნათესავების დახმარებით საძირკველი ჩაუდგან მეორე კეთილ საქმეს—სოფლის ბი-

---

როგორც სხვებს ექცევიან და სხვანი იქცევიან.

— გაიგე, კარლო, რომ მეგობრობის გულისთვის გითმობ.

— მე ნებას არ გაძლევთ, რომ ეგ სიტყვა იხმაროთ! შესჭყივლა კარლმა, რომელიც თანდათან გონზედ მოდიოდა. იქნება გსურთ ამ შეურაცხებას დაცინვაც წაუმატოთ?

არტურს მოთმინება ეკარგებოდა.

— თავი დაანებე ეგრე ლაპარაკს, მაგითი საქმეს ვეღარას უშველი. რაც მოხდა, მოხდა. კარგად ვერ მოვიქეცი და ძლიერა ვნანობ, რომ ესე მომიხდა. მე ვიკისრებ ყოველსავე ბრალს, ვიტყვი, ძალით შემოვათრიემეთქი, მხოლოდ დამშვიდდი!.. სხვა რაღა გინდა?

— რა მინდა?.. განა მკითხავთ კიდეცა? ვითომ არ იცით, რაც მინდა? მაშ მე მიგახვედრებთ. მე ის მინდა, რასაც თქვენ თითონ მომთხოვდით, რომ ვინიცობაა ჩემთვის მოგესწროთ თქვენს... კარლს ენა დაება და ვერ წარმოსთქვა გერტრუდას სახელი. არტურიც ჩუმად იდგა. კინაღამ არ წამოსცდა, ეგ სულ სხვა საქმე იქნებოდაო, მაგრამ თავი დაიკავა და არა უთქვამსრა. მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა და ბოლოს ისევ კარლმა დაიწყო:

— აბა როგორ უნდა იყოს საქმე? პასუხს ველი.

არტურმა უკმაყოფილოდ შეიშმუშნა მხრები.

— სხვა პასუხის მოცემა არა შემიძლიან-რა.

— მაშ თუ ეგრეაო, დაიყვირა კარლმა და ხმაც აუწკრიალდა: ახლა ჩემი პასუხი მოისმინეთ. თქვენ იქნება კიდევა გგონიათ, რომ გადაწყვეტით არ გეუბნებით ამას, მაგრამ სცდებით. მე დაკმაყოფილებას ვითხოვ, როგორც მოითხოვდა ჩემს ალაგას ყოველი პატიოსანი კაცი, და უკანასკნელად გეკითხებით: გინდათ თუ არა დამაკმაყოფილოთ? გეფიცებით, თუ უარს იტყვით, ძალით დაგაკმაყოფილებინებთ ჩემს თავს.

კარლმა მუშტი მოუღერა არტურსა.

— ერიჰაა! წარმოსთქვა განცვიფრებით ამღელვარებულმა არტურმა: შენ გინდა რაინდობა გამოიჩინო? შენ, კარლი შულცე, სისხლს ითხოვ შენის გვაროვნობის შეურაცხებისათვის? ეგ გინდოდა! მაგისთვის ეგ აურზაური რაღა საჭიროა? არა უჭირსრა, შეიძლება კაცმა თავისს სიცოცხლეში ერთი რამ სისულელე ჩაიდინოს.

არტურს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ კარი გაიღო და გეტრუდა შემოვიდა.

— ეს რა ყვირილია? დაეკითხა გერტრუდა თავისს ძმას. ჩვენს ოთახებში ყვირილი სულ ისმის. ძლივს დავიყოლიე და დავაწვინე დედა.

არტური სცდილობდა მღელვარება დაეფარა და თავისუფლად მოქცეულიყო.

— ჯერ არ დაგიძინია, გერტრუდა? მე მეგონა, დიდი ხანია სძინავს-მეთქი!

— განა ამ ყვირილში ძილი შეიძლება? რა ამბავია?

— რა ამბავი უნდა იყოს? ვსწავლობდით, კარლი წიგნისთვის შემოვიდა.

— კარგი იქნებოდა, რომ ბატონი შულცე სხვა დროს მოსულიყო წიგნისთვის;, გააწყვეტინა გერტრუდამ სიტყვა ძმასა და კარლს შეჰხედა. თუ მაინცა და მაინც მოუნდა შუაღამისას მოსვლა, ცოტა ხმა-დაბლა უნდა ილაპარაკოს, როგორც ზრდილობა მოითხოვს და როგორც ჩვენ ვიქცევით დღისითაც-კი.

არტურს უნდოდა წაჰქომაგებოდა საბრალო კარლს.

— ხომ იცი, გერტრუდა, კაცი რომ სწავლაში გაერთობა, ყველაფერი დაავიწყდება.

— არა, გააწყვეტინა სიტყვა კარლმა და მიმტკნარებულის ხმითა სთქვა: თქვენი და მართალსა ბრძანებს: მე დამნაშავე გახლავართ. კვლავ აღარ მომივა ასეთი შეცდომა.

კარლმა თავი დაღუნა და გამოვიდა ოთახიდგან. კიბიდგან მძიმე ფეხის ხმა მოისმა.

ძირს რომ ჩამოვიდა, კარლმა სამზარეულოსკენ გასწია და ლიზა კუთხეში მიკუნჭული დაინახა. ქალმა დაინახა თუ არა, ჩემი ძმა მოდისო, მიაძახა, „ნუ მცემ!“-ო.

კარლს შეეზიზღა თავისი და, სასოება წარეკვეთა, გასწია თავის ოთახისკენ, ტან-გაუხდელი გადაიქცა ტახტზედ, თვალებზედ ხელები მიიფარა და ამოიკვნესა:

— ეს-ღა მაკლდა!

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

ბლიოთეკასაც. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამ საქმეს ითავებს, მოაწყობს და თავს მოაბამს ისევ მზრუნველი სკოლისა, მამა სპირიდონ ნ—ძე ფანცხავა, რომელსაც ესოდენის პატივისცემითა და სიყვარულით შეჰყურებს მთელი საზოგადოება, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა. სხვა კეთილ საქმეებთან ერთად, რომლის შეუდრეკელს სამსახურშიაც გაატარა მრთელი თავისი სიცოცხლე ამ მშვიდობიანმა და უკეთილშობილესმა სულიერმა მამამ, გვჯერა, რომ ამ საქმესაც მოაბამს თავს და დააკმაყოფილებს იმათ პატიოსანს სურვილს, ვინც დღეს მომხრეა ჩვენში განათლებისა და გრძნობა-გონების წარმატებისა...

ფუთელი

### წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ჩემსა და ჩემის მრევლის მხრივ გენერალ-ლეიტენანტს, თავად ივანე გივის ძეს ამილახვარს, რომელმაც არა ერთხელ აღმოუჩინა შემწეობა ვარების წმიდის გიორგის ეკკლესიას და ეხლაც შემოსწირა შემდეგი ნივთები: ოდიკი ატლასისა, წლოვანების დავთრები, შესამოსელი ტრაპეზისა და სამსხვერპლოისა, აგრეთვე საეკკლესიო წიგნები: კონდაკი, ტიბიკონი, სადღესასწაულო და შირველი და მეორე ნაწილი დასადებისა, ღირებული სულ 50 მანეთამდე.

ლვარების შტატის მღვდელი ვასილ თვალიაშვილი.

## დ ე პ ე შ ა

27 ივლისი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ს გაუგონია, ამ დღეებში განკარგულება იქნება მოხდენილი, რომ დაუყოვნებლივ იქმნას დაარსებული ყოველს საგუბერნიო ქალაქში საქალაქო საკრებულოო.

**კენიგსბერგი.** რადგან გაძნელებულია პრუსიის საზღვარზედ გადასვლა-გადმოსვლა, აქაური გადასახლების მსურველ ებრაელთა დამხმარებელი კომიტეტი გაუქმდა.

**ლონდონი.** წარსულს პარასკევს თეირანში 25 კაცი გარდაიცვალა ხოლერით.

**ვენა.** შჩაკოვში შაბათს ოთხი კაცი გახდა ავად საეჭვო ავადმყოფობით და იმათში ერთი გარდაიცვალა კიდეც.

28 ივლისი

**ტაშკენტი.** მოგზაური გრომჩევსკი დანიშნულ იქმნა ოგისის მაზრის უფროსად.

— პამირის მოსაზღვრე ჩინეთის რაზმები, რომელთაც თავის ნებით დაიჭირეს პამირში რუსეთის საკუთარი ადგილები, დაუყოვნებლივ წავიდნენ აქედგან, მოსთხოვა ეს თუ არა პამირის ექსპედიციის უფროსმა, პოლკოვნიკმა იონოვმა.

**პეშტი.** რადგან შიშია, რომ ხოლერა არ იქმნას შემოტანილი, ვაჭრობათა მინისტრმა აღკრძალა რუსეთიდგან შემოტანა ხილეულობისა, მწვანილეულობისა, ხიზილალისა, თევზისა, ტყავებისა და სხვა ნაწარმოებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,88 | 7,90 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 157¼ | 158¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 223¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% | 99½ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5% | 99¾ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¾ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

**ფოთიდგ გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2 „ „ „
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი


კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—80)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კევრცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.


## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან

**არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—9)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. №.


Дозв. ценз. Тифлисъ, 29-го Іюля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.